გრასის
დეზინფორმაციის
ბრიფი

მონიტორინგის პერიოდი:

1-16 იანვარი

GRASS
REFORMANDA

- პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა და მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა ახალი წელი პოლიტიკაში ღიად დაბრუნებით დაიწყო;
- „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის საყრდენები მას შემდეგ გამოაშკარავდა, რაც მმართველმა პარტიამ საკუთარი თავი ქართული ეკლესიის დამცველად წარმოაჩინა, ხოლო ოპონენტები ეკლესიის წინააღმდეგობაში დაადანაშაულა;
- პრორუსული ჯგუფის განცხადებით, სტალინის ხატზე საღებავის შესხმა ქართულ ქრისტიანობაზე თავდასხმის ტოლფასია;
- ბიძინა ივანიშვილის ოლიგარქად მოხსენიების გამო მმართველი პარტიის წევრებმა დანიის ელჩი გააკრიტიკეს;
- კვლავ აქტიურია ტრადიციული პროპაგანდისტული ნარატივი, რომლის თანახმადაც ევროკავშირი საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას განიზრახავს;
- პროპაგანდისტული ნარატივი სტალინს აქებს, ხაზს უსვამს მის „სასიკეთო საქმეებს“ საქართველოსთვის.

პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა და მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა ახალი წელი პოლიტიკაში ღიად დაბრუნებით დაიწყო

ბიძინა ივანიშვილმა, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა და მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა, 30 დეკემბერს „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის თანამდებობა დაიკავა - პოზიცია, რომელიც აქამდე არ არსებობდა პარტიაში.

ირაკლი კობახიძის, „ქართული ოცნების“ მოქმედი თავმჯდომარის, განცხადებით, პარტიამ უკვე დაამტკიცა სარევიზიო კომისიის განახლებული შემადგენლობა, განიხილა წინასაარჩევნო სამზადისი და წესდებაში რიგი ცვლილებები შეიტანა. „პარტიის დღევანდელი ყრილობის მთავარი მოვლენა გახლავთ პარტიაში საპატიო თავმჯდომარის თანამდებობის შემოღება, პარტიის ყრილობის ერთსულოვანი მხარდაჭერით, აღნიშნულ თანამდებობას დაიკავებს ჩვენი პარტიის დამფუძნებელი, 2012 წლის დემოკრატიული გარდაქმნების შემოქმედი ბიძინა ივანიშვილი“, - განაცხადა კობახიძემ.

მისი გამოსვლის შემდეგ სცენა ივანიშვილმა დაიკავა, რომელმაც ვრცელ სიტყვაში განიხილა, თუ რამ უბიძგა საჯარო პოლიტიკაში დაბრუნებისკენ, მწვავედ გააკრიტიკა ოპოზიცია და, აგრეთვე, შეეხო პარტიის სამომავლო გეგმებს. მის განცხადებაში რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთა:

- ივანიშვილის თქმით, საპატიო თავმჯდომარის სტატუსით დაბრუნება თავისივე ინიციატივა იყო, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური საქმიანობა მის ხასიათს არ შეესაბამებოდა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ სჯეროდა, რომ მისია - აღარ მიეცა დამნაშავეებისთვის ხელისუფლებაში

დაბრუნების ამბიცია - უკვე შესრულებული ჰქონდა. „თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, დანაშაულებრივ პოლიტიკურ სისტემას იმაზე ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა“, რამაც მას პოლიტიკაში დაბრუნებისკენ უბიძგა.

- ბიძინა ივანიშვილს სჯერა, რომ მმართველი პარტია 90-100 მანდატს იმ შემთხვევაშიც მიიღებდა, დღეს რომ ტარდებოდეს არჩევნები. შესაბამისად, მისი მთავარი მიზანი ჭარბად მოძლიერებული გუნდის „ადამიანური ცდუნებებისგან“ დაცვა იყო. ივანიშვილმა განაცხადა, რომ პოლიტიკაში ღიად დაბრუნებამდე მმართველი პარტიის 2-3 წარმომადგენელთან კონსულტაციებს მართავდა, თუმცა, რადგან პარტიას ახალი სიმძიმის ცენტრი სჭირდებოდა, აღნიშნული აღარ იქნებოდა საკმარისი.
- „ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა ხაზი გაუსვა გადაწყვეტილებას, აღარ დაეკავებინა ოფიციალური სახელმწიფო თანამდებობა. ირაკლი ღარიბაშვილი კვლავ შეინარჩუნებდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობას, ხოლო ირაკლი კობახიძე - მოქმედი თავმჯდომარის პოზიციას.
- ივანიშვილმა ოპოზიცია გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ ეს უკანასკნელი, მმართველი პარტიის წარმატების ფონზე, სრულად განადგურდა. მისი მტკიცებით, როდესაც გარეთ დასაპირისპირებელი ძალა არ არსებობს, პარტიაში დაპირისპირებების გუნდშივე გამოგონების ცდუნება ჩნდება. ამასთანავე, ოპოზიციის კონტროლის არარსებობა კორუფციის რისკებსაც ზრდის. „ამ ყველაფერმა მიმაღებინა ჩემთვის არასასიამოვნო გადაწყვეტილება, შემოვბრუნდე პოლიტიკაში“, - აღნიშნა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა.
- „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრისა და პრემიერ-მინისტრის, ირაკლი გახარიას მიერ ქვეყნისა და გუნდის ღალატი ერთადერთი მოვლენა იყო, რომლის გათვლაც ივანიშვილმა 2021 წელს პოლიტიკიდან დისტანცირებისას ვერ შეძლო. “მაშინ მომიწია, მრჩევლის ფუნქცია მეტვირთა და გუნდს კონსულტაციებით რომ არ დავხმარებოდი, პროცესები ქვეყნისთვის უმძიმესი სცენარით განვითარდებოდა“, - განმარტა ივანიშვილმა.

ზემოაღნიშნულის შემდეგ ბიძინა ივანიშვილს საჯარო განცხადება არ გაუკეთებია. თუმცა მმართველი პარტიის წევრებმა მისი დაბრუნება შეაფასეს, როგორც სარგებლის მომტანი არა მხოლოდ „ქართული ოცნებისთვის“, არამედ ქვეყნისთვისაც.

- პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, ბიძინა ივანიშვილის როლი ქვეყნის გადარჩენაა, რაც მან 2012 წელს საპარლამენტო არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხებით ერთხელ უკვე შეძლო. შესაბამისად, ახლა ივანიშვილის მიერ „უნიკალური როლის“ საკუთარ თავზე აღება გადამწყვეტი გახდა მუდმივად ცვალებადი გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე. ამასთანავე, ღარიბაშვილმა აღიარა, რომ რთული პერიოდებისა და კრიზისის დროს ის ბატონ ბიძინა ივანიშვილთან კონსულტაციებს მართავდა სტრატეგიულ საკითხებზე, კონკრეტულად ქვეყნის მომავალსა და ტურბულენტურ სიტუაციებში სწორად ნავიგაციაზე სასაუბროდ.

- მმართველი პარტიის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, ივანიშვილის დაბრუნებას მნიშვნელოვანი მოვლენა უწოდა, რომელიც არა მხოლოდ გუნდს, არამედ ქვეყანას გააძლიერებს. „მადლობა უნდა გადავუხადოთ ივანიშვილს ასეთი გადაწყვეტილებისთვის“, - აღნიშნა კობახიძემ. ამასთანავე, კობახიძის მტკიცებით, ივანიშვილის დაბრუნება საბუთი იყო იმისა, რომ არასოდეს ყოფილა ქვეყნის არაფორმალური მმართველი. ხოლო, რაც შეეხებოდა რჩევებსა და კონსულტაციებს, კობახიძის შეფასებით, ეს ჯანსაღი მოვლენაა, რომელიც ყველა ქვეყანაში ხდება.

„ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის საყრდენები მას შემდეგ გამოაშკარავდა, რაც მმართველმა პარტიამ საკუთარი თავი ქართული ეკლესიის დამცველად წარმოაჩინა, ხოლო ოპონენტები ეკლესიის წინააღმდეგობაში დაადანაშაულა

6 იანვარს სოციალურ ქსელებში გავრცელდა ვიდეო წმინდა სამების საკათედრო ტაძრიდან, რომელშიც განთავსებული იყო მატრონა მოსკოველის, რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანის, ხატი და მის ერთ-ერთ ფრაგმენტზე გამოსახული იოსებ სტალინი. აღნიშნული ხატის საკათედრო ტაძარში ყოფნის საკითხი საზოგადოებაში კამათის საგანი გახდა, 9 იანვარს კი აქტივისტმა ნატა ფერაძემ შუშის ჩარჩოში ჩასმულ ხატს ლურჯი საღებავი შეასხა, რის გამოც ის ძალადობრივ პრორუსულ ჯგუფ „ალტ-ინფოს“ სამიზნე გახდა.

10 იანვარს „ალტ-ინფოს“ წარმომადგენლები და მხარდამჭერები ფერაძის სახლთან შეიკრიბნენ და აქტივისტის დაპატიმრება მოითხოვეს. შეკრების ორგანიზატორების განცხადებით, თუ ფერაძე სისხლის სამართლის წესით არ დაისჯებოდა, ისინი „სამართალს თავად აღასრულებდნენ“. მიუხედავად იმისა, რომ აქტივისტის სახლს პოლიცია იცავდა, პრორუსული ძალა მის სახლიდან გამოსულ მეგობარს თავს დაესხა.

„ალტ-ინფომ“ მორიგი აქცია 13 იანვარს პარლამენტის წინ გამართა და ფერაძის დაპატიმრება კვლავ მოითხოვა ძალადობის მუქარით.

„ან სახელმწიფო მიხედავს, ან კონკრეტულად ჩვენ მივხედავთ“, - თქვა „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ზურაბ მახარაძემ.

„სულ პოლიცია ვერ იდგება მათ სახლებთან. პირობას გაძლევთ - ძმრად უნდა ამოვადინოთ ამ ნაბიჭ@@@ებს ეს მხეცობა“, - თქვა „ალტ-ინფოს“ კიდევ ერთმა ლიდერმა, შოთა მარტინენკომ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამართალწარმოება წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით დაიწყო, რაც პრორუსული ჯგუფისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

ძალადობრივი ჯგუფის რეაქციების პარალელურად, ქართული ეკლესიის დაკნინებისა და მმართველი პარტიის პრორუსულად წარმოჩენის მიზნით განხორციელებული

კოორდინირებული კამპანიის ჩატარებაში პარტია „ქართულმა ოცნებამაც“ დაადანაშაულა ოპონენტები.

ხატზე გამოსახულ სტალინთან დაკავშირებით კამათის გარდა, მმართველი პარტია შობის თარიღის საკითხსაც შეეხო, რომელიც კამათის საგანი ყოველ წელს ხდება. „ქართულმა ოცნებამ“ ქართულ ეკლესიასა და ღირებულებებზე თავდასხმაში დაადანაშაულა და დააკნინა ისინი, ვინც 25 დეკემბერს უფრო საფუძვლიან თარიღად აღიქვამენ, ვიდრე 7 იანვარს.

- პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა, ვრცელი განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც ირწმუნებოდა, რომ „რადიკალური ოპოზიციის“ შეტევები ეკლესიაზე შეთანხმებული, ბოროტგანზრახული კამპანიის ნაწილი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა, დაემცირებინა ის სიმბოლოები და ღირებულებები, რომელთა გარშემოც ისტორიულად ერთიანდებოდნენ ქართველები. პაპუაშვილის მტკიცებით, ტირანების ხატებზე გამოსახვა დაშვებული იყო. მაინც, ოპოზიციასთან დაახლოებულმა მედიამ ფაქტები დაამახინჯა და წმინდა მატრონას ხატს სტალინის ხატი უწოდა. აგრეთვე, მან ოპოზიცია და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები შობის საკითხთან დაკავშირებით ქართულ ეკლესიაზე იერიშის მიტანის, 7 იანვრის დღესასწაულის „რუსულ შობად“ მოხსენიებისა და პატრიარქის სისტემურად რუსეთთან დაკავშირების გამო გააკრიტიკა. პაპუაშვილის განცხადებით, უსაფუძვლო კრიტიკა ცილისმწამებლური კამპანიის ნაწილი იყო და მიზნად არა პროგრესს, არამედ ქართული ეკლესიისა და ხელისუფლების დაზიანება და რუსული პროპაგანდის გამტარებლად წარმოჩენა იყო. პაპუაშვილმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „დროას“, „გირჩის“, „ლელოსა“ და „ევროპული საქართველოს“ ქმედებებსა და ეკლესიაზე ბოლშევიკურ თავდასხმებს შორის პარალელი გაავლო, აქვე აღნიშნა ისიც, რომ „ქართული ოცნება“ ქართული ეკლესიის ქრისტიანულ ღირებულებებს იზიარებს.
- მედიასთან გაკეთებულ განცხადებაში პაპუაშვილმა ოპოზიციას ანტიქართული დაჯგუფება უწოდა, რომელიც ყველაფერს ქართულს ებრძვის, მათ შორის, ქართულ სახელმწიფოს, ქართულ სახელმწიფო ინსტიტუტებს, ქართულ ეკლესიასა და ქართულ ტრადიციებს. მისი მტკიცებით, ქართველ ხალხს 2024 წლის არჩევნებზე ორ ალტერნატივას შორის მოუწევდა არჩევანის გაკეთება - ერთი „ქართული ოცნებაა“, რომელიც ეროვნულ ინტერესებს ეყრდნობა, პატივს სცემს საქართველოსა და სულიერების ისტორიას, მეორე კი ანტიქართული, საქართველოს ინტერესებისა და პატრიარქის წინააღმდეგ მოქმედი ოპოზიცია.
- ირაკლი კობახიძის პოსტი სოციალურ მედიაში ლაშა ბუღაძეს, მმართველ პარტიასთან კრიტიკულად განწყობილ მწერალს, ეძღვნებოდა, რომელმაც 7 იანვარს დაწერა: „გილოცავთ რუსულ შობას. ქრისტიანები შობას 25 დეკემბერს შევხვდით“. კობახიძემ მწერალს „ფსევდოლიბერალი“, „ფსევდოგანსწავლული“ და „ფსევდომწერალი“ უწოდა და განმარტა, თუ რატომაა ქართული ტრადიცია შობის 7 იანვარს აღნიშვნა.
- მორიგ განცხადებაში კობახიძე აპელირებდა, რომ „რადიკალური ოპოზიციის“, კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ საქმიანობა მიმართული იყო სახელმწიფოს, ეკლესიისა და იმ ყველაფრის წინააღმდეგ, რაზეც ქართული

იდენტობა დგას. აღნიშნულს ქართველი ხალხი საპარლამენტო არჩევნებზე გასცემდა შესაბამის პასუხს. წარმატების შანსი ვერ ექნება იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ქართულ სახელმწიფოს, ქართულ ეკლესიასა და ქართულ იდენტობას პირდაპირ უპირისპირდებიან.

- „ქართული ოცნების“ დეპუტატის, ირაკლი ზარქუას განცხადებით, ხატზე სტალინი წმინდანთან ერთადაა გამოსახული და ხატწერაში უამრავი მსგავსი ფაქტი არსებობს. წმინდა მატრონას ხატში გამოსახულ სტალინზე აქცენტირება საზოგადოებაში პოლარიზაციას აღვივებს. დეპუტატის თქმით, ოპოზიცია, რევოლუციური სცენარების წარუმატებლობის შემდეგ, საზოგადოების რელიგიური ასპექტით გახლეჩასა და დესტაბილიზაციას ცდილობს. „ვხედავთ ჩვენ, როგორ შეხმატკბილებულად ყველა სექტორიდან უტევენ ეკლესიას“, - განაცხადა ზარქუამ.
- წმინდა სამების საკათედრო ტაძარში განთავსებულ წმინდა მატრონას ხატთან დაკავშირებით კამათზე კომენტარი გააკეთა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, გიორგი ამილახვარმაც. მან აღნიშნა, რომ „ეს ადამიანები“ [ნატა ფერაძე და აქტივისტის მხარდამჭერები] ქართულ სახელმწიფოს, ეკლესიასა და იდენტობას უკვე დიდი ხანია უტევენ. თუმცა ქართული საზოგადოება ბრძენია და მსგავს ფაქტებზე შესაბამისად რეაგირებს. „თქვენ ხედავთ, რომ საზოგადოებამ ამ ადამიანებს თავად გასცა პასუხი“, - აღნიშნა მინისტრმა.

პრორუსული ჯგუფის განცხადებით, სტალინის ხატზე საღებავის შესხმა ქართულ ქრისტიანობაზე თავდასხმის ტოლფასია

- „ალტ-ინფოს“ ლიდერის, კონსტანტინე მორგოშიას განცხადებით, ქვეყანა, რომელიც ხატის შებღალვას „წვრილმან ხულიგნობად“ აფასებს, თუმცა ევროკავშირის დროშის დაწვისთვის ექვს წელს უფარდებს ადამიანს, მარცხისთვისაა განწირული (იხ. გრასის დეზინფორმაციის ბრიფის წინა გამოშვება ევროკავშირის დროშის დაწვის კამპანიაზე მეტი ინფორმაციისთვის).
- ზურაბ მახარაძე ირწმუნებოდა, რომ „ევროკავშირის დაფინანსებული ნაბი***ები“ ტაძრებში რელიგიური სიწმინდეების წაბილწვას მანამ განაგრძობდნენ, სანამ მხოლოდ 500-ლარიან ჯარიმა ან 15-დღიანი პატიმრობა იქნებოდა სასჯელი. მისი თქმით, ფერაძე და სხვა აქტივისტები დაფინანსებას უცხოური წყაროებიდან იღებენ და ჯარიმებსაც სწორედ ისინი იხდიან. შესაბამისად, თუ სახელმწიფო მას მძიმედ არ დასჯის, ის და სხვა აქტივისტები ევროპული ფინანსების იმედად უფრო მძიმე დანაშაულსაც ჩაიდენენ მომავალში.





- „ალტ-ინფოს“ მორიგმა ლიდერმა შოთა მარტინენკომ სოციალური მედიის პოსტში აღნიშნა, რომ აქტივისტებმა ხატზე საღებავის შესხმით გადაკვეთეს ხაზი, რომლის იქითაც მშვიდობიანი თანაარსებობა შეუძლებელია.
- „ალტ-ინფოს“ გადაცემების წამყვანმა, ალექსანდრე ფალავანდიშვილმა განაცხადა, რომ „ბავშვების სოდომიზაციისა და სქესის ცვლილების იდეოლოგიის“ მომხრეებისგან ხატებსა და რელიგიურ დღესასწაულებზე იერიშები მოსალოდნელია. ის ასევე ამტკიცებდა, რომ სტალინი ხატზე გამოსახული იყო, არა როგორც წმინდანი, არამედ ისტორიული პირი, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ქრისტიანულ ხატწერაში. მისი თქმით, ხატზე საღებავის შესხმა ორკესტრირებული, შეთანხმებული ქმედება იყო.
- „ალტ-ინფოს“ პროპაგანდისტმა დაუსაბუთებლად განაცხადა, რომ ნატა ფერაძის მიზანი არა სტალინის ხატის გაპროტესტება, არამედ სრულიად ქრისტიანობაზე თავდასხმა იყო. აღნიშნულზე ისაუბრა კიდევ ერთმა პროპაგანდისტმაც, რომელმაც ამ მტკიცებას, აგრეთვე, დაამატა რელიგიური ხატების წაბილწვის მსგავსი შემთხვევების მოლოდინიც. მან განმარტა, რომ ეს ქმედება უფრო დიდი კამპანიის ნაწილი იყო, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის დამხობას ისახავდა მიზნად. მისი თქმით, აღნიშნულ შემთხვევაში, მათ ძალიან რთული პასუხის გაცემა მოუწევდათ.
- „ალტ-ინფოს“ გადაცემების ხშირმა სტუმარმა ევროინტეგრაციის ერთ-ერთი კრიტერიუმი გაიხსენა, რომელიც, ევროკავშირის თანახმად, საქართველოში პოლარიზაციის დასრულებას გულისხმობს. თუმცა განხეთქილებისა და კამათის სათავეები რელიგიური სიწმინდეების შებღალვის გამო სწორედ პროევროპული აქტივისტები ხდებიან.
- იქიდან გამომდინარე, რომ „ლიბერალურ ოპოზიციას“ ხალხის აქციებზე გამოყვანა არ შეუძლია, მორიგი პროპაგანდისტის მტკიცებით, ისინი ახლა ხალხს განზრახ, პროვოკაციულად აღიზიანებენ, რათა სამოქალაქო შეტაკებები გააჩაღონ.
- მორიგ გადაცემაში პროპაგანდისტებმა ოპოზიცია მართლმადიდებლობის „ვადაგასულ რუსულ რელიგიად“ მოხსენიებაში დაადანაშაულეს და გააკრიტიკეს მწერალი ლაშა ბუღაძე, რომლის თქმითაც შობა 25 დეკემბერს უნდა აღინიშნებოდეს.
- მოსაზრება, რომ ნატა ფერაძის ქმედება დასავლეთის მიერ ქართულ ეკლესიასთან საბრძოლველად იყო ორკესტრირებული, რამდენიმე მტრულად განწყობილმა აქტორმა გააჟღერა.

ბიძინა ივანიშვილის ოლიგარქად მოხსენიების გამო მმართველი პარტიის წევრებმა დანიის ელჩი გააკრიტიკეს

დანიის ელჩმა საქართველოში, ანე ტოფტ სორენსენმა, დანიურ გამოცემაში Jyllands-Posten გამოაქვეყნა ოპ-ედი, რომელშიც „ქართული ოცნების“ დამფუძნებელსა და ყოფილ პრემიერ-მინისტრს უწოდა „ოლიგარქი, რომელმაც ქონება 1990-იან წლებში

რუსეთში დააგროვა“. აღნიშნულ შეფასებას „ქართული ოცნების“ წევრებისგან მწვავე რეაქციები მოჰყვა.

- მმართველი პარტიის კრიტიკის საპასუხოდ, დანიის საელჩოს განცხადებით, დანიური სტატიის ფრაგმენტი, რომელიც კამათის საგანი გახდა საქართველოში, კონტექსტიდან იყო ამოვარდნილი. საელჩო არ განიზრახავდა ზემოაღნიშნულის გამწვავებას და თავს შეიკავებდა დამატებითი განმარტებებისგან. შალვა პაპუაშვილის შეფასებით, დანიის საელჩოს განმარტება ელჩის არაკომპეტენტურობისკენ მიუთითებდა, რადგან მან ვერ შეძლო საკუთარი აზრის გასაგებად ფორმულირება. პაპუაშვილის შეფასებით, სამწუხაროა, როდესაც დიპლომატების არაკომპეტენტურობის გამო ქვეყნის იმიჯი ილახება ქართული საზოგადოების თვალში.
- „ქართული ოცნების“ გენერალური მდივნისა და თბილისის მერის, კახა კალაძის შეფასებით, ელჩის განცხადება „სიბინძურეა“. მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილს ბევრი გაუკეთებია საქართველოსთვის, მათ შორის, „სისხლიანი, საშინელი რეჟიმის დამარცხება 2012 წელს“. ამასთანავე, დედაქალაქის მერმა ზოგიერთ ევროპარლამენტარზე ისაუბრა, რომლებმაც მსგავსი განცხადებები გააკეთეს. კალაძის შეფასებით, ევროპარლამენტარები ფულს იღებენ აღნიშნული განცხადებებისთვის, რაც სამარცხვინოა. „მათ საქართველოსთან არანაირი მეგობრული დამოკიდებულება არ აქვთ. მათ აქვთ თავიანთი ინტერესები და ამას ემსახურებიან“, - განაცხადა კალაძემ.
- „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ირაკლი ზარქუამ ელჩის შეფასებას „სიცრუე, დეზინფორმაცია და თავხედური განცხადება“ უწოდა. მისი თქმით, ელჩს დავიწყებოდა ვალდებულება, საქართველოსა და ქართველ ხალხს ევროინტეგრაციის პროცესში დაეხმაროს. ელჩის მიერ ბიძინა ივანიშვილის შეურაცხყოფამ „ქართული ოცნების“ პროგრესის დისკრედიტაცია მოახდინა. ამასთან, ზარქუა ფიქრობს, რომ განცხადება, შეცდომით ან გამიზნულად, პოლარიზაციის გაღრმავებას ისახავდა მიზნად, რაც მიუღებელია.
- „ქართული ოცნების“ დეპუტატი გია ვოლსკის განმარტებით, დანიის ელჩის განცხადება ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ იყო მიმართული და ამძაფრებდა საზოგადოების დაპირისპირებას, რასაც კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ სისხლისღვრითა და ძალადობით ელოდებოდა.

კვლავ აქტიურია ტრადიციული პროპაგანდისტული ნარატივი, რომლის თანახმადაც ევროკავშირი საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას განიზრახავს

- პრორუსულმა პროპაგანდისტებმა სტალინთან დაკავშირებით მომხდარი დაპირისპირება მარტივად მიაწერეს დასავლეთის შეთქმულების თეორიას, რომელიც საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნას განიზრახავს. ერთ-ერთი პროპაგანდისტი ირწმუნებოდა, რომ უკრაინისა და

ღაზის კონფლიქტები ნატა ფერაძის ქმედებების შედეგი იყო. მისი თქმით, დასავლეთს მორიგი კონფლიქტი სჭირდებოდა მესამე მსოფლიო ომის დასაწყებად, საქართველო კი ნაყოფიერი მიწა იყო ომის გასაჩაღებლად ქვეყანაში „ლიბერალურ-ფაშისტური ძალაუფლებების“ არსებობის გამო.

- მორიგი პროპაგანდისტის თანახმად, დასავლეთში მწვავე შიდა დაპირისპირებებია. შესაბამისად, ხალხის ყურადღების გადასატანად, საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩათრევას ისახავენ უმთავრეს მიზნად. იგივე პროპაგანდისტი ირწმუნებოდა, რომ ევროკავშირი ფარსი იყო და 2027 წლამდე დაიშლებოდა.
- პროპაგანდა, აგრეთვე, დასავლეთს ადანაშაულებდა იმაშიც, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს უბრძანა, 2008 წელს რუსეთთან ომი დაეწყო. მას შემდეგ დასავლეთმა რუსეთის წინააღმდეგ მომდევნო ფრონტი უკრაინაში გახსნა და ცდილობდა, მასში საქართველოც ჩაეთრია. ნარატივის თანახმად, თუ სააკაშვილს კვლავ ექნებოდა ძალაუფლება, ის აუცილებლად გაითვალისწინებდა დასავლეთის მოთხოვნებს, რაც საქართველოს განადგურებით დასრულდებოდა.
- პროპაგანდისტმა, რომელიც სოციალურ ქსელებში ხშირად ავრცელებს ანტიდასავლურ პროპაგანდასა და დეზინფორმაციას, პოსტში განაცხადა, რომ საქართველოსთვის ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსის მიღება საბოლოოდ დასავლეთის ინტერესების გამტარი ხალხის დაფინანსებისა და გავლენის ზრდით, პატრიოტების დასჯით, ლგბტ დღის წესრიგისა და უკანონო მიგრანტების მიღებით დასრულდებოდა. მისი შეფასებით, ქართველებისთვის ემიგრაციის იძულება, ხოლო მათი აფრიკელი და აზიელი იმიგრანტებით ჩანაცვლება გლობალისტური დღის წესრიგი იყო, რომლის შედეგიც ქართველების საკუთარ ქვეყანაშივე უმცირესობად ქცევა იქნებოდა. პოსტის ავტორი ირწმუნებოდა, რომ ევროინტეგრაციის მომხრეები აღნიშნულ გეგმასაც უჭერდნენ მხარს.
- „ალტ-ინფოს“ გადაცემის სტუმარი სპეკულირებდა, რომ 2021 წლის 5 ივლისის დაპირისპირების დროს დაკავებულებს სასჯელი დასავლეთის დირექტივებით მიესაჯათ, რადგან დასავლეთს სურს, დასაჯოს ყველა ქართველი, რომელიც ბედავს, „ეროვნული ღირსება და ინტერესები დაიცვას“.
- ცნობილი პრორუსული პროპაგანდისტის, ჰამლეტ ჭიპაშვილის სტატიის თანახმად, თუ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება, ახლანდელ მცირე სუვერენიტეტსაც დაკარგავს. ამასთანავე, სტატიაში ვკითხულობთ, რომ ევროკავშირი აშშ-ს „ყურმოჭრილი მონაა“ და თავადვე აქვს სუვერენიტეტი დაკარგული. აგრეთვე, ავტორის შეფასებით, ქართველები დამახინჯებულად აღიქვამენ ევროკავშირის ეკონომიკურ მდგომარეობას, როდესაც რეალურად, კავშირს ეკონომიკური კრიზისი ასუსტებს. საფრანგეთის ახალი პრემიერ-მინისტრის ორიენტაციაზე კომენტარის გაკეთებისას ავტორი გამოთქვამს უსაფუძვლო ვარაუდს, რომლის თანახმადაც ევროკავშირში მაღალი თანამდებობის დაკავების წინაპირობა ისაა, რომ ადამიანი გეი უნდა იყოს.

პროპაგანდისტული ნარატივი სტალინს აქებს, ხაზს უსვამს მის „სასიკეთო საქმეებს“ საქართველოსთვის

- “ალტ-ინფოს“ ლიდერმა, კონსტანტინე მორგოშიამ, სტალინი შეაქო და აღნიშნა, რომ ის არა მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ქართველი, არამედ უდიდესი ფიგურა იყო მსოფლიო ისტორიისთვისაც და დაჩრდილა დანარჩენები - ნაპოლეონი, ალექსანდრე მაკედონელი და სხვა. მისი მტკიცებით, საქართველოში გაჩნდა ადამიანი, რომელმაც ბირთვული ბალანსი დაამყარა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსოფლიოზე და გაანადგურა ლიბერალიზმი და სიონიზმი.
- პრორუსული პროპაგანდისტების თქმით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია იოსებ სტალინმა უზრუნველყო. ამასთან, ისინი დაუსაბუთებლად ირწმუნებოდნენ, რომ სტალინმა თეოლოგიური სკოლები აღადგინა და გასცა განკარგულება, რომელიც ეკლესიების დახურვასა და განადგურებას კრძალავდა. ერთ-ერთი პროპაგანდისტი ირწმუნებოდა, რომ სტალინის მმართველობის დროს ეკლესიების რაოდენობა 400-დან 22,000-მდე გაიზარდა.
- პროპაგანდის თანახმად, მსოფლიომ სწორედ სტალინის დამსახურებით გაიცნო „ვეფხისტყაოსანი“, მე-12 საუკუნის პოემა, რომლითაც ქართველები ამაყობენ.
- მორიგი პროპაგანდისტის მტკიცებით, საქართველოს ინდუსტრიალიზაცია და ურბანიზაცია სტალინის ერთპიროვნული დამსახურება იყო. თუ სტალინის მმართველობამდე ქართველები სოფლის ქოხებში ცხოვრობდნენ, სტალინის საბჭოთა კავშირის დროს სამუშაო ადგილები, დაბალი ფასები, უხვი სურსათი და ახლად აშენებული ბინები ხელმისაწვდომი გახდა.
- პროპაგანდისტი ამბობდა, რომ საქართველოს არ ჰყოლია მსგავსი „გენიოსი მეთაური, ნამდვილი განძი“. მისი თქმით, ქართველი ერის უძლეველობა მსოფლიოს სწორედ სტალინმა აჩვენა.
- მორიგი ნარატივის მიხედვით, საქართველო „უძლიერესი სახელმწიფო იყო იმ ტერიტორიაზე“ (საბჭოთა კავშირში).